



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030474708481715

№ 04-437/თ

02 / დეკემბერი / 2015 წ.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 14
სექტემბრის N04-266/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის 2015 წლის 14 სექტემბრის N04-19769 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 14 სექტემბრის N04-310/თ ბრძანებით დამტკიცებულ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი პირის განაცხადის ფორმაში“ (დანართი N1) შევიდეს ცვლილება (განაცხადზე თანდართული დოკუმენტების ნუსხად მე-5 ნომრად დაემატოს „ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი)“ და ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული ფორმით.
2. სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი) დაევალოს, საჯარო გაცნობის მიზნით, ამ ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსება.
3. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, წინამდებარე ბრძანების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისთვის გაგზავნა.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე



(ტერიტორიული ერთეულის დასახელება)

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი პირის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

მოსარგებლედ რეგისტრირების მსურველი პირის სახელი და გვარი	პირადი ნომერი:

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი (ქალაქი/მუნიციპალიტეტი)

ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი ქუჩა, კორპუსი/სახლი, ბინა

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ელექტრონული ფოსტა

საბანკო რეკვიზიტები (ივსება მხოლოდ სტაჟირების შემთხვევაში)	
საბანკო დაწესებულების დასახელება:	ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:	

ინფორმაცია მისაწოდებელი მომსახურების შესახებ:	პროფესიული სწავლება <input type="checkbox"/>	პროფესია-----
	სტაჟირება <input type="checkbox"/>	პოზიცია-----

განაცხადს თან ერთვის:

- რეგისტრირების მსურველი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის* ასლი
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატის ასლი)
- შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი)
- დასკვნა სსსმ დადასტურების თაობაზე გაცემული საქართველოს განათლ. და მეცნიერების სამინისტროს მიერ (ასლი)
- ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი)
- წერილობითი მომართვა სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან
- წერილობითი მომართვა სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან
- წერილობითი მომართვა სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან
- ქორწინების მოწმობა/პირველი ბავშვის დაბადების მოწმობა (ასლი)
- პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი/სერტიფიკატის ასლი)

ხელმოწერით ვადასტურებ:

- განაცხადში მითითებული ინფორმაციის ნამდვილობას;
- წარმოდგენილი დანართების შესაბამისობას განაცხადში მითითებულ ინფორმაციასთან;
- პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სისწორეზე.
- თანხმობას, ჩემს შესახებ ინფორმაცია დამუშავებულ იქნეს, მათ შორის, მესამე პირს გადაეცეს, მხოლოდ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მიზნებისათვის.

მოსარგებლის ხელმოწერა -----

სააგენტოს თანამშრომელი, პოზიცია

--	--	--	--	--	--	--	--	--

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

სააგენტოს თანამშრომლის ხელმოწერა

* საქართველოს მოქალაქის პასპორტის ყველა გვერდის ასლის წარმოდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე დაბრუნებული მიგრანტია და დაბრუნებიდან არ არის გასული 1 წელზე მეტი